დანართი 1

დამტკიცებულია: ბრ. #07/01-09, 27/03/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი)

თბილისი

2024

შინაარსი

მუხლი 1.ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2.ხარისხის კულტურის კონცეფცია 6

მუხლი 3.აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება 7

მუხლი 4.უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შეფასება 9

მუხლი 5.დისტანციური სწავლების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი 16

მუხლი 6.უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების შეფასება 18

მუხლი 7.მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება 19

მუხლი 8.ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება 23

მუხლი 9.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 23

მუხლი 10.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება 24

მუხლი 11.დასკვნითი დებულებები 25

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. 1 წინამდებარე დოკუმენტი ადგენს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს.

1. 2 წინამდებარე დოკუმენტში ასახული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს. უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმის საფუძველზე, შესაძლებელია წინამდებარე დოკუმენტში ასახული მექანიზმები მოდიფიცირდეს, გაუქმდეს და/ან დაემატოს ახალი.

1. 3 წინამდებარე დოკუმენტში ასახული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას, მათი მუდმივად განვითარების მიზნით. ამასთან, წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებული შეფასებების შედეგები გაითვალისწინება უნივერსიტეტის ყველა მმართველი რგოლის მიერ და შემდგომი გადაწყვეტილებები, უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვა-განვითარებისათვის, მიიღება აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით.

1. 4 დასახული მიზნების განხორციელებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე “(PDCA) ციკლის მიდგომას:

1. 5 დაგეგმვის (სასწავლო პროცესის შეფასება, შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული ცალკეული საკითხების შეფასება, შედეგების ანალიზი) მიზნებისათვის ხარისხის სამსახური შეიმუშავებს მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებს, სადაც მოკლევადიანი მიზანი შეიძლება მოიცავდეს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში მოდიფიკაცია-განვითარებას ყოველი აკადემიური წლის/სემესტრის დასაწყისში შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად;

ბ) ადგილობრივი შრომის ბაზრის შესწავლისას მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამების განვითარების დაგეგმვა კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელ პირებთან ერთად;

გ) აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა-განვითარების და ახალი კადრების მოზიდვის რეკომენდირება/დაგეგმვა;

დ) სწავლების მეთოდების ეფექტურობის ანალიზი და სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების დანერგვის დაგეგმვა რომელიც მოიცავს რეკომენდაციების გაწევას და კომპეტენციის ფარგლებში ჩართულობას;

ე) დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე მიმდინარე პროცესების, მატერიალური და ადამიანური რესურსების გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დაგეგმვა პასუხისმგებელ პირებთან თანამშრომლობით და რეკომენდაციების გაწევა;

ვ) სასწავლო პროცესის შეფასებაის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების გზებისა და საშუალებების დაგეგმვა და რეკომენდაციების გაწევა;

ზ) უნივერსიტეტისა და საგანამანათლებლო პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებაი და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.

1. 6 გრძელვადიანი მიზნები შეიძლება მოიცავდეს:

ა) საერთაშორისო დასაქმების ბაზრის კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების საფუძველზე და მის შესაბამისად, პროგრამების განვითარებისა და ცვლილებების დაგეგმვა პასუხისმგებელ პირებთან შეთანხმებით;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით, უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად, მათი საერთაშორისო პროგრამებში ჩართვის დაგეგმვა;

გ) საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის კვლევა კომპეტენციის ფარგლებში და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ რეკომენდაციის გაწევა;

1. 7 განხორციელება-შემოწმება გულისხმობს შიდა ხარისხის სამსახურის მიერ განსაზღვრული მიზნების განხორციელების მიზნით, შესაბამისი ფუნქციების განაწილებას პასუხისმგებელ პირებზე და პროცესების განხორციელების პერიოდულ შეფასებას, მათ შორის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების პერიოდულ შეფასებას და სხვ. ასევე ხორციელდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, ადამიანური რესურსის შეფასებას, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას და სხვ.

1. 8 განვითარება გულისხმობს შემოწმების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას, მათ შორის, სასწავლო კურსების სილაბუსების და/ან საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, რათა მიღწეულ იქნას სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებზე და

საჭიროებებზე მორგებული სისტემის შექმნა და ზოგადად პროცესებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

მუხლი 2. ხარისხის კულტურის კონცეფცია

2. 1 ხარისხის კულტურა არის გაზიარებული ღირებულებების, რწმენისა და იმ ნორმების ერთობლივი სისტემა, რომელიც ეფუძნება სტუდენტის ინტერესებს და უწყვეტად აუმჯობესებს განათლების ხარისხს, კვლევასა და ინსტიტუციონალურ სერვისებს. ხარისხის კულტურა მიმართულია საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ასპექტის გაძლიერებისაკენ, მათ შორის თანამშრომლის დაქირავებასა და დაწინაურებაზე, მათი კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე. ხარისხის კულტურა უზრუნველყოფს მართვის სტილის გაუმჯობესებას, გადაწყვეტილების მიღების, ორგანიზაციულ სტრუქტურის, სამუშაო პროცესისა და ორგანიზაციის დაგეგმარებას.

2. 2 ხარისხის კულტურა ეფუძნება შემდეგ ძირითად ღირებულებებს:

ა) დაინტერესებული მხარის კმაყოფილება;

ბ) დასაქმებულის ჩართულობა და უფლებამოსილება;

გ) ფაქტზე დაყრდნობილი პრობლემების მოგვარება და გადაწყვეტილების მიღება;

დ) ორგანიზაციაში გუნდური მუშაობა;

ე) პროცესების მართვა;

2. 3 ხარისხის კულტურის შექმნისა და შენარჩუნების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით, უნივერსიტეტში მუდმივად უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

ა) ცვლილების საჭიროების გამოვლენა;

ბ) სასურველი აქტივობების განსაზღვრა, რომელიც ეხმაურება ინსტიტუციონალურ ხედვასა და სტრატეგიას;

გ) განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა

მუხლი 3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება

3. 1 უნივერსიტეტში აკადემიური პოზიციის დაკავების მსურველი კანდიდატი, რომელსაც გამოცხადებულ ვაკანსიაზე შემოაქვს განაცხადი, წარმოადგენს მის მიერ განხორციელებულ აკადემიური საქმიანობის ანგარიშს („აკადემიური საქმიანობის ანგარიში“) რომლის შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა განისაზღვრება უნივერსიტეტის „სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული პირების თანამდებობაზე დანიშვნის წესით“ .

3. 2 უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა ფასდება უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სემესტრულად და წლიურად.

3. 3 აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტების გამოკითხვის შედეგების, სასწავლო პროცესის განხორციელებისა (ლექციების მიმდინარეობა, ლექციებზე დაკვირვება, ელექტრონული სისტემის წარმოება (SMART, SIS), სტუდენტების აკადემიური მოსწრება, გამოცდების შეფასება და ა.შ.) და მათი აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე. ამასთან, სტუდენტების გამოკითხვა და სასწავლო პროცესის წარმართვის შეფასება ხორციელდება სემესტრულად, „აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასებაში“ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით.

3. 4 აკადემიური პერსონალის აკადემიური/სამეცნიერო მოღვაწეობა დამატებით ფასდება ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების (სტატია, თეზისი, ჟურნალი, წიგნები და ა.შ.) სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები და ა.შ.), სემინარებსა და პროექტებში მონაწილების, ასევე უნივერსიტეტში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების მიხედვით, „სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე, მასში მოცემული ქულობრივი მაჩვენებლებით. უსდ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და ანალიზი ხორციელდება კვლევით დარგში პრორექტორის მიერ.

3.5 მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში „სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის (მოწვეული პეროსნალისთვის)“-მიხედვით. შეფასებას ახორციელებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების სამსახური ახორციელებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვას.

3.6 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების გამოკითხვას და სასწავლო პროცესის წარმართვის შეფასებას აღნიშნული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. სტუდენტთა გამოკითხვა ხორციელდება “სასწავლო კურსის შეფასება-სტუდენტის კითხვარის“-ის ფორმის საფუძველზე. გამოკითხვის შედეგების ანალიზი ხორციელდება „სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების“ ფორმის მეშვეობით.

მუხლი 4. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შეფასება

4.1 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შეფასებას და შედეგებს წარუდგენს აკადემიური პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს.

4.2 ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კმაყოფილების კვლევას.

4.3 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროების შემთხვევაში, კვლევის შედეგების საფუძველზე იძლევა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

4.4 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და აქტივობებს მიმართულს სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისაკენ, რაც გულისხმობს სკოლის წარმომადგენლების მიერ (დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, კოლეგიალური შეფასება) წინასწარ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად/საჭიროების შემთხვევაში ლექციებზე დასწრების და შეფასების მიმდინარეობისა და პერიოდულობის, რეკომენდაციების არსებობისას განხორციელებული აქტივობების და სხვ. შეფასებას.

4.5 სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტია სალექციო/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობაზე დაკვირვება. კომპონენტის შეფასებისთვის გამოიყენება „ლექციაზე დაკვირვების“ ფორმა.

4.4.1 დაკვირვების სავალდებულო ობიექტები არიან: ახლადაყვანილი ლექტორები (სწავლების პირველ სემესტრში), სტუდენტების მიერ 3.5 და ნაკლები ქულით შეფასებული

ლექტორები (ჯგუფიდან სტუდენტთა სულ მცირე 10%-ის მიერ შეფასებაში მონაწილეობის შემთხვევაში), ასევე, შესაძლებელია დაკვირვების ობიექტები გახდნენ ის ლექტორები, რომელთა მიმართაც სტუდენტების /ლექტორების /თავად ლექტორის/სკოლის მიერ წამოჭრილია შესასწავლი საკითხი.

4.4. 2 მეცადინეობაზე დაკვირვებას წვლილი შეაქვს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში, მაგრამ, როგორც წესი, არ გულისხმობს საქმიანობის შეფასების თვალსაზრისით ქულების დაგროვებას და დაკვირვებით კომპონენტის შეფასება ზეგავლენას არ ახდენს პედაგოგის (კომპონენტის განმახორციელებელი პირის) ქულობრივ შეფასებაზე.

4.4. 3 დაკვირვება ხორციელდება:

ა) ხარისხის განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობა; განსაკუთრებული საფუძვლის გარეშე პედაგოგების შემთხვევითი შერჩევის გზით;

ბ) პედაგოგის მოთხოვნით, კვალიფიციური რჩევის ან მხარდაჭერისათვის;

გ) ჩატარებული კვლევებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც საჭიროებს დამატებით კვლევას.

4.4. 4 პედაგოგს წინასწარ, მინიმუმ ერთი კვირით ადრე მიეწოდება ინფორმაცია, რომ დაგეგმილია მის მიერ განხორციელებულ მეცადინეობებზედაკვირვება, თარიღის და მეცადინეობის დაკონკრეტების გარეშე. ასევე შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევებში - საკითხის შესწავლის მიზნით ან/და ლექტორის მომართვის საფუძველზე ლექციაზე დაკვირვება განოხრიცლედეს

პედაგოგის წინასწარი ინფორმირების გარეშე იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს პედაგოგს მეცადინეობის განხორციელების პროცესში.

4.4. 5 დაკვირვების ჯგუფის წევრი შესაძლებელია იყოს პროორექტორი სასწავლო დარგში, დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი/შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი/(შიდა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი რომლებიც იცნობენ დაკვირვების პროცედურას და შეფასების კრიტერიუმებს. კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაკვირვების ჯგუფის წევრი ასევე შესაძლებელია იყოს გარე მოწვეული სპეციალისტი.

4.4. 6 დაკვირვების ჯგუფის წევრი შეირჩევა დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და თანხმდება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან. შერჩეულ კანდიდატთა სია და დაგეგმილი დაკვირვების შესახებ ინფორმაცია (დასაკვირვებელი მეცადინეობა, პერიოდი, დაკვირვების ჯგუფის წევრების ვინაობა) იგზავნება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს ცვლილების შეტანა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დაკვირვების ჯგუფის წევრის კვალიფიკაცია არ არის საკმარისი შეფასებისთვის ან არ შეესაბამება დასმული პრობლემის შეფასების მიზნებს;

ბ) შესაძლოა სახეზე იყოს ინტერესთა კონფლიქტი და სხვ.

4.4. 7 დაკვირვება ხორციელდება მინიმუმ 2 პირის მიერ.

4.4. 8 დამკვირვებლები შედეგებზე (დაკვრივების ანგარიში) დაყრდნობით შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და წარუდგენენ მას დეკანს არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადისა ანგარიშებთან ერთად, რომელიც ასევე მიეწოდება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. დაკვირვების შედეგები მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსაც.

4.4. 9 კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით სკოლის დეკანი პედაგოგს აწვდის დაკვირვების შედეგებს.

4.4. 10 იმ შემთხვევაში, თუ დაკვირვების ჯგუფის წევრებს შორის ვერ მოხდა შეთანხმება დაკვირვების შედეგებთან დაკავშირებით, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ინიშნება ახალი დაკვირვება ახალი დამკვირვებლებით. მიღებული შედეგები საბოლოოა.

4.4. 11 თუ დაკვირვების შედეგები უარყოფითია, ან მოიცავს რეკომენდაციებს, პედაგოგმა დაკვირვების უკუკავშირის წერილში უნდა დაგეგმოს მის მიერ გასატარებელი აქტივობები დაფიქსირებული პრობლემის გადასაჭრელად და რეკომენდაციების შესასრულებლად და მიაწოდოს დეკანს არაუგვიანეს შედეგების მიღებიდან 7 სამუშაო დღეში. აქტივობები განხილული იქნება დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ. საჭიროების შემთხვევაში გონივრული ვადის შემდეგ განმეორებით ჩატარდება მეცადინეობაზე დაკვირვება.

4.4. 12 პედაგოგს შეუძლია არ დაეთანხმოს დაკვირვების ჯგუფის მოსაზრებებს და წერილში მოიყვანოს მისი პოზიციის დამადასტურებელი ფაქტები. პედაგოგს ასევე შეუძლია მოითხოვოს განმეორებითი დაკვირვება თუ:

ა) პედაგოგი თვლის, რომ განსაკუთრებული მიზეზის გამო დაკვირვების ობიექტი მეცადინეობა ჩვეულებრივისაგან განსხვავებული იყო.

ბ) პედაგოგი არგუმენტირებულად არ ეთანხმება დამკვირვებლების შეფასებებს.

4.4. 13 დებულების 4.4.12 მუხლში მოცემული შემთხვევისას, პედაგოგი, მიზეზის მითითებით, წერილობით მიმართავს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დამატებითი დაკვირვების ჩატარების თაობაზე შედეგების გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დეკანთან და პროგრამის ხელძღვანელთან ერთად განიხილავს წერილობით მიმართვას და არგუმენტების და მიზეზის გაზიარების შემთხვევაში დანიშნავს დამატებითი დაკვირვების თარიღს, განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4.4. 14 დამატებითი დაკვირვება შესაძლოა განხორციელდეს:

ა) დებულების 4.4.12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში დამატებითი დაკვირვება შესაძლებელია განხორციელდეს იგივე დამკვირვებლების მიერ. განმეორებითი დაკვირვების შედეგს ექნება იგივე ძალა, რაც პირველი დაკვირვების შედეგს; ასეთი განმეორებითი დაკვირების შემთხვევაში პედაგოგის წინასწარი ინფორმირება არ ხდება.

ბ) დებულების 4.4.12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში დამატებითი დაკვირვება შესაძლებელია განხორციელდეს კვლავ ორი დამკვირვებლის მიერ, რომელთაგანაც ერთი მაინც იქნება პირველი დაკვირვების ჯგუფის წევრი (შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული) და მეორე, ახალი დამკვირვებელი. განმეორებით ჩატარებული დაკვირვება იქნება საბოლოო და მბოჭავი ძალის მქონე.

4.4. 15 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაკვირვების ჯგუფების ანგარიშს და დაკვირვების უკუკავშირის წერილებს გააცნობს პრორექტორს ხარისხის დარგში, პრორექტორს სასწავლო დარგში, საჭიროებისამებრ მოეწყობა შეხვედრები წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის აქტივობების დასაგეგმად. შეხვედრებზე შესაძლებელია პედაგოგების მოწვევა. კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით შეხვედრებზე განხილული იქნება განზოგადებული პრობლემები, კონკრეტული ლექტორთა ვინაობის გამჟღავნების გარეშე.

4.4. 16 მეცადინეობებზე კოლეგების, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის დასწრება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს კოლეგების ურთიერთშეთანხმებით და ურთიერთდასწრების სურვილის არსებობის შემთხვევაში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. შეფასების შედეგები მიეწოდება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

4.5. არანაკლებ სამ წელში ერთხელ, აკადემიური წლის ბოლოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით, აფასებენ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს,

სასწავლო/კვლევით კომპონენტებს და მათ განმახორციელებელ ლექტორებს, „პროგრამის შეფასება - სტუდენტის კითხვარის“ დოკუმენტის მიხედვით.

4. 6 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს სტუდენტთა გამოკითხვას და აღნიშნული გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, აფასებს სტუდენტთა კმაყოფილებას უნივერსიტეტის ადამიანური (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) და მატერიალური რესურსების, შეთავაზებული სერვისების და ა.შ. თაობაზე.

4. 7 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წინამდებარე დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების თაობაზე ჩატარებული გამოკითხვების შედეგების შეჯამების საფუძველზე, განხორციელებული საგანმანათლებლო და სხვა აკადემიური პროცესების ანალიზისა და მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სათანადო აქტივობების დასაგეგმად, აცნობებენ აღნიშნულ შედეგებს შესაბამისი სკოლის დეკანს და საჭიროების შემთხვევაში განიხილავენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინდივიდუალურად.

4. 8 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში, უნივერსიტეტში არსებული პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად, განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსის განვითარების გეგმას „მატერიალური რესურსის“ ფორმის მიხედვით. ასევე განიხილება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამუშავებული სტუდენტთა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შედეგები/ანალიზი.

4. 9 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად უნივერსიტეტში არსებული პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად, განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო პერსონალის) რესურსების

შესაბამისობას უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან

4. 10 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვას და სასწავლო პროცესის წარმართვის შეფასებას აღნიშნული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ხორციელდება „აკადემიური და მოწვეული პერსონალის კითხვარის“ ფორმის საფუძველზე.

4. 11 ზემოაღნიშნული გამოკითხვებისა და მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიების შედეგები, ასევე განვითარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეცნობება შესაბამის პასუხისმგებელ პირებსა და საჭიროების შემთხვევაში მმართველ საბჭოს, განიხილება მათ მიერ და იგეგმება შემდგომი აქტივობები საგანმანათლებლო და მასთან დაკავშირებული, უნივერსიტეტში მიმდინარე სხვა პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 5. დისტანციური სწავლების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

5. 1 დისტანციური სწავლების განხორციელებისას მთავარი პრინციპი, რომელიც უნდა იყოს დაცული არის ის, რომ მიღწეული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმილი სწავლის შედეგები. ამ მიზნისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს სასწავლო კურსების მოდიფიცირება-განვითარება. აღნიშნული ცვლილება პროგრამაში შედის უნივერსიტეტის მიერ პროგრამული ცვლილების განხორციელებისათვის დადგენილი წესით.

5. 2 სასწავლო კურსის სტრუქტურა და სწავლება. სწავლის და შეფასების მეთოდები:

5.2.1 სასწავლო კურსის დისტანციური სწავლებით განხორციელების წინ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ უნდა მოხდეს სილაბუსში გაწერილი კურსის სტრუქტურის, სწავლება სწავლის და შეფასების მეთოდების ანალიზი- თუ რამდენად არის შესაძლებელი პირისპირ სწავლებისთვის შემუშავებული სილაბუსში გაწერილი კურსის სტრუქტურით, სწავლება სწავლის მეთოდებით და შეფასების მეთოდებით სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა და მათი მიღწევის შეფასება. სილაბუსით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით შესაძლოა შეთავაზებულ იყოს ალტერნატიული გზები, რაც უნდა მოხდეს სტუდენტთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფით. იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა ცვლილებების მიუხედავად აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტში პირისპირ სწავლების ან ჰიბრიდული მეთოდით.

5.2.2 სტუდენტის აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში - დისტანციური სწავლება არ გულისხმობს რომ სასწავლო პროცესში სტუდენტები ჩართულები არიან როგორც პასიური მსმენელები. სასწავლო კურსის განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტის აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში. შესაძლებელია საჭირო გახდეს აქტივობების ცვლილება როგორც სალექციო, ასევე სასემინარო მუშაობების დროს. უნდა ხდებოდეს ასევე ინდივიდუალური სწავლების საჭიროებების და მისწრაფებების გათვალისწინება.

5. 3 აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა - სწავლება სწავლის და შეფასების მეთოდების შერჩევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს დისტანციური სწავლებისას სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის სირთულეს, რათა სტუდენტის შეფასება მოხდეს მისი ცოდნის და მის მიერ გაწეული შრომის ნამდვილობის საფუძველზე. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის რისკების თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია

დადგეს შეფასების მეთოდების, კრიტერიუმების/რუბრიკების ცვლილების საჭიროება. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისათვის საჭირო პრევენციულ ზომებს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით.

5. 4 შეზღუდული შესაძლებელობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სტუდენტების მზაობა დისტანციური სწავლებაში ჩასართავად - უნდა მოხდეს მათი საჭიროებების შესაბამისად სასწავლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობა.

5. 5 სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა - დისტანციური სწავლების პერიოდში აქტიურად გამოიყენება სასწავლო მასალა ელექტრონული სახით. საჭიროების შემთხვევაში ხდება ნაბეჭდი მასალების გაციფრულება. სტუდენტებს უნდა ჰქონდეს წვდომა სასწავლო მასალაზე.

5. 6 პერსონალის დახმარება და განვითარება დისტანციური სწავლების პროცესში: ამ მიზნისთვის უნივერსიტეტში შესაბამისი ადმინისტრაციული და ტექნიკური სამსახურების მიერ მუშავდება ინსტრუქციები (წერილობითი ან ვიდეო), მიეწოდებათ ინფორმაცია დისტანციური სწავლების ეფექტურად წარმართვისთვის სხვადასხვა საჭირო მასალების, ტრენინგების/ვორქშოფების (უფასო ან დაფინანსებული) შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ეწყობა შეხვედრები კონკრეტულ საკითხებზე.

5. 7 სტუდენტებს და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ პერსონალს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს იმ საკითხებთან დაკავშირებით რასაც შეეხო ცვლილება დისტანციური სწავლების პერიოდში-რეგულაციები, წინაპირობები, ჩარიცხვა, შეფასება, კომუნიკაციის მეთოდები და არხები და სხვ.

მუხლი 6: სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების შეფასება

6. 1 სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების შეფასების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში (SIS) ასახული

აკადემიური შედეგების მიხედვით, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებს.

6. 2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიზნებისათვის, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში (SIS) ასახული შედეგების მიხედვით, თუკი საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ ლექტორთან დარეგისტრირებულ სტუდენტთა (როცა ჯგუფში დარეგისტრირებულია თხუთმეტზე მეტი სტუდენტი) 30% და მეტი შეფასებულია 91-100 (ფრიადი, A) ან მაქსიმალური შეფასების 40 ქულით ან ნაკლებით (F, ჩაიჭრა), შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამის ლექტორთან ერთად ახორციელებს ამ კომპონენტის ფარგლებში წარმართული საგანმანათლებლო პროცესის ანალიზს, სწავლების მეთოდებისა და სალექციო კურსების წარმართვის ხარისხის შეფასებას. ასეთ შემთხვევაში დაკვირვება წარმოებს დინამიურად, რამდენიმე სემესტრის განმავლობაში.

6. 3 სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მოქმედებს წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული წესი ამავე პუნქტში მითითებული სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებლის დაკმაყოფილების შემთხვევაში. თუკი ამ საფეხურებზე, ასევე საბაკალავრო საფეხურზე არ არის დაკმაყოფილებული ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი, მცირერიცხოვან ჯგუფებში შეფასებას ექვემდებარება სტუდენტთა ჩაჭრის მაღალი მაჩვენებელი - 30%-ზე მეტი.

მუხლი 7. მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

7. 1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას და მათ შესაბამისობას

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამების შეფასება სამსახურის მიერ ხორციელდება“საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ცხრილის“ მიხედვით.

7. 2 საგანმანათლებლო პროგრამები ფასდება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ, „პროგრამის შეფასება - კურსდამთავრებულების კითხვარის“ მიხედვით შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ჩართულობით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანალიზის შედეგებს წარუდგენს პრორექტორს ხარისხის დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და პროგრამის ხელმძღვანელს.

7. 3 საგანმანათლებლო პროგრამები ფასდება დამსაქმებელთა მიერ, „პროგრამის შეფასება - დამსაქმებლის კითხვარის“ მიხედვით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კარიერული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის ჩართულობით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანალიზის შედეგებს წარუდგენს პრორექტორს ხარისხის დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და პროგრამის ხელმძღვანელს.

7. 4 ამ მუხლში ჩამოთვლილი პირებისა და სტუდენტთა შეფასებების შედეგების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების/განვითარების მიზნით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს პრორექტორს ხარისხის დარგში, და პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე საჭიროების შემთხვევაში მმართველ საბჭოს, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით.

7. 5 გარდა ამ მუხლში მოცემული შეფასებებისა, პროგრამის შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს:

7.5. 1 სტუდენტი შესაძლებელია მონაწილეობდეს შეფასების შემდეგ მექანიზმებში:

ა) პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

ბ) ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა;

გ) ინტერვიუ ხარისხის/შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან და სხვ.

7.5. 2 პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის მონაწილეობა შეფასების პროცესში შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) სასწავლო კურსების კოლეგიალურ შეფასებას ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ბ) მონაწილეობას პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის პროცესში;

გ) ინტერვიუს ხარისხის/შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან და სხვ.

7. 6 პროგრამის განვითარების მიზნით შესაძლოა განხორციელდეს ადგილობრივი ან უცხოელი ექსპერტების/დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამის გარე ექსპერტიზა/ შეფასება. გარე ექსპერტების შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) სასწავლო კურსების კოლეგიალურ შეფასებას ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასთან დაკავშირებულ განხილვებსა და დისკუსიებში მონაწილეობას ;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალურ შეფასებას;

დ) სასწავლო პროცესის შეფასებას.

7. 7 პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობა შეფასების პროცესში შეიძლება ითვალისწინებდეს პროგრამის მონაწილე სტუდენტების/კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის, შრომის ბაზრისთვის მათი მომზადების დონის შეფასებას. კერძოდ, ისინი შეიძლება აფასებდნენ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარებს.

შეფასება შეიძლება განხორციელდეს:

ა) კითხვარების საშუალებით;

ბ) ინტერვიუს გზით;

გ) სტუდენტთა დახასიათებით;

დ) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებების, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასებით, სხვადასხვა პროექტში მონაწილეობით და სხვ.

7. 8 პროგრამის კურსდამთავრებულები პროგრამას შეიძლება აფასებდნენ:

ა) კითხვარების საშუალებით;

ბ) ინტერვიუს გზით და სხვ.

7. 9 დებულების დანართების სახით წარმოდგენილი კითხვარები კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა მოდიფიცირდეს.

7. 10 პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს და უზრუნველყოფს პროგრამის შეფასების პროცესში პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის, დამსაქმებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების მონაწილეობას; ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს ან/და არსებული პროგრამის მოდიფიცირებისთვის.

7. 11 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, რომელიც გულისხმობს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის“ მიხედვით).

მუხლი 8. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

8. 1 საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, რომლის განხორციელებასაც გეგმავს უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის შიდა აქტებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სუბიექტებთან ერთად, ჩართულნი არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რომელთაც წარედგინებათ აღნიშნული პროგრამა შემდგომი შეფასების მიზნით.

8. 2 ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები (არსებობის შემთხვევაში) ახორციელებენ “პროგრამის შეფასება - სტუდენტის კითხვარის“ მიხედვით, მომიჯნავე პროგრამის კურსადმთავრებულები (არსებობის შემთხვევაში) – „პროგრამის შეფასება - კურსდამთავრებულების კითხვარის“ მიხედვით, ხოლო დამსაქმებლები - „პროგრამის შეფასება - დამსაქმებლის კითხვარის“ მიხედვით.

მუხლი 9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

9. 1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო

ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, ამასთან სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას.

9. 2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის, მობილობის წესით ჩარიცხვის, განათლების აღიარების, აკადემიური ჩამორჩენის, სპეციალური საჭიროებების, სტუდენტის მიერ მოთხოვნის და სხვა ობიექტური გარემოების შემთხვევაში.

9. 3 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

9. 4 ხარისხის/შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროების შემთხვევაში იძლევა გეგმის მოდიფიცირების რეკომენდაციებს.

9. 5 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, როგორც წესი, ფორმდება წერილობით, რომელიც ინახება სტუდენტის პირად საქმეში, ხოლო ასლი ეძლევა სტუდენტს თავისი სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის.

მუხლი 10. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება

11. 1 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

10.1. 1 თვითშეფასება (სამსახურის საქმიანობისა და ფუნქციების შესრულების ხარისხის, საქმიანობისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსებისა და სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების დაგეგმილ ვადებში შესრულების დინამიკის შეფასება);

10.1. 2 ინსტიტუციური კვლევებით მიღებული შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების

გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების შემუშავება;

10.1. 3 ინსტიტუციური კვლევებით მიღებულ შედეგებზე რეაგირების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობის შეფასება.

მუხლი 11 დასკვნითი დებულებები

11. 1 წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის რექტორის მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

11. 2 წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს პრორექტორი ხარისხის დარგში .

IBSU